

## საქართველოს კანონი ფოსტის შესახებ

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ადგენს ფოსტის სფეროში საქმიანობის ძირითად პრინციპებს და სამართლებრივ საფუძვლებს, საფოსტო მომსახურების სახეობებს, საფოსტო მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის და ხელშეწყობის პრინციპებს, უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულებას, დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვის წესს, ფოსტის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებებს, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკასა და საერთაშორისო თანამშრომლობას ფოსტის სფეროში,

#### მუხლი 2. მიზნები და პრინციპები

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე საიმედო და ეფექტიანი საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა, საფოსტო მომსახურების გაწევისას აუცილებელი მოთხოვნების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

2. ფოსტის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპებია:

- ა) მომხმარებელთა მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი საფოსტო მომსახურებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ბ) პირთა თანასწორუფლებიანობა ფოსტის სფეროში საქმიანობისას;
- გ) მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- დ) საფოსტო ქსელების და საშუალებების, საფოსტო მომსახურებების სრულყოფის და განვითარების ხელშეწყობა;
- ე) უნივერსალური საფოსტო მომსახურების საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ვ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების მიწოდების და დანიშნული საფოსტო ოპერატორის საფოსტო ქსელის ორგანიზების ხელშეწყობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;
- ზ) ქვეყნის ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილების გრანზიტულად გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფა მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

- თ) საფოსტო ქსელის მეშვეობით გაცვლილი მონაცემებისა და საფოსტო გზავნილის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვა;
- ი) უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტიანი და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფა;
- კ) მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად საფოსტო ოპერატორის დანიშნვა დანიშნულ საფოსტო ოპერატორად;
- ლ) საფოსტო საგადახდო ნიშნების გამოცემა;
- მ) კონკურენციის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ნ) საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობა გლობალურ საფოსტო სივრცეში და ფოსტის სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- ო) პერსონალური მონაცემების დაცვა.

### **მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

- ა) ადგილობრივი საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის მიღება, დახარისხება, ტრანსპორტირება და ჩაბარება ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;
- ბ) ადრესატი - მომხმარებელი, რომელზეც დამისამართებულია საფოსტო გზავნილი;
- გ) ამანათი - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის შიგთავსი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი/პროდუქტი, კომერციული ღირებულების ან მის გარეშე, წერილობითი კორესპონდენციის გარდა, რომლის წონაც არ აღემატება 31.5 კგ-ს;
- დ) აუცილებელი მოთხოვნები - ზოგადი, არაეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, რომლებიც ეხება საფოსტო გზავნილის და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცვას, საფრთხის შემცველი ნივთის ტრანსპორტირებისას საფოსტო ქსელის უსაფრთხოებას, თანამშრომელთა შრომითი პირობების დაცვას, გარემოს დაცვის მოთხოვნების უზრუნველყოფას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ე) გამგზავნი – მომხმარებელი, რომელიც დებს ხელშეკრულებას საფოსტო გზავნილის გაგზავნის თაობაზე;
- ვ) დაზღვეული საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომელიც ადრესატს ბარდება ხელმოწერით და რომელიც დაზღვეულია დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების და/ან განადგურებისგან, გამგზავნის მიერ დეკლარირებული ღირებულებით;
- ზ) დანიშნული საფოსტო ოპერატორი – უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელების მიზნით ამ კანონის მოთხოვნების დაცვით დანიშნული საფოსტო ოპერატორი;
- ი) ექსპრეს მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ერთ ან მეტ შემდეგ დამატებითი ღირებულების მახასიათებელს:
  - ი.ა) საფოსტო გზავნილის მიღებას გამგზავნის მიერ მითითებულ მისამართზე;

- ი.ბ) გამგზავნისა და საფოსტო ოპერატორს შორის შეთანხმებულ ვადებში საფოსტო გზავნილის ჩაბარებას;
- ი.გ) ადრესატისთვის გზავნილის ხელმოწერით ჩაბარებას;
- ი.დ) მომხმარებლის მიერ გზავნილის ჩაბარების ადგილის და მისამართის ცვლილების შესაძლებლობას ტრანსპორტირების პერიოდში;
- ი.ე) გამგზავნისთვის გზავნილის ჩაბარების დადასტურების შესაძლებლობას;
- ი.ვ) გამგზავნის მიერ გზავნილზე ინდივიდუალური მონიტორინგის და გადაადგილების კონტროლის შესაძლებლობას;

კ) კომისია - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ლ) მარტივი საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის მიღება საფოსტო ოპერატორის მიერ გამგზავნისგან ხორციელდება ქვითრის გარეშე და რომელიც ბარდება ადრესატს ხელმოწერის გარეშე;

მ) მისამართი - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მისამართი, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე;

ნ) მიღება - საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო გზავნილის მიღება;

ო) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც გამგზავნის ან ადრესატის სახით სარგებლობს საფოსტო მომსახურებებით;

პ) მსოფლიო საფოსტო კავშირი - ფოსტის სფეროში გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაცია;

ჟ) რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის დაკარგვასთან, მოპარვასთან, დაზიანებასთან და/ან განადგურებასთან დაკავშირებული რისკები იზღვევა საფოსტო ოპერატორის მიერ დადგენილი ფასით. გამგზავნის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გზავნილი ადრესატს ბარდება ხელმოწერით;

რ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრი - საქართველოსა და სხვა ქვეყნის დანიშნულ საფოსტო ოპერატორებს შორის მათი საერთაშორისო საფოსტო შემომავალი, გამავალი და ტრანზიტული გზავნილების გაცვლის ადგილი;

ს) საერთაშორისო საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომელიც იგზავნება სხვა სახელმწიფოში ან მიიღება სხვა სახელმწიფოდან, ან სხვა სახელმწიფოს საფოსტო გზავნილი, რომელიც ტრანზიტულად გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზე;

ტ) საკურიერო მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც ორიენტირებულია საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე დაჩქარებულად და პრინციპით „გამგზავნის კარიდან ადრესატის კარამდე“.

უ) სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ფ) საფოსტო გზავნილი - საფოსტო ოპერატორის მიერ განსაზღვრული საბოლოო ფორმით დამისამართებული გზავნილი, რომელიც იგზავნება ან/და მიიღება საფოსტო ოპერატორის მეშვეობით (წერილობითი კორექსონდენცია, ამანათი, წიგნები, კატალოგები და პერიოდული გამოცემები). საფოსტო გზავნილი ჩაბარებამდე წარმოადგენს გამგზავნის საკუთრებას.

ქ) საფოსტო ინდექსი - გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისთვის გამოხატული ციფრების და/ან ასოების სერიისგან შემდგარი სისტემა;

ღ) საფოსტო მომსახურება - მომსახურება, რომელიც მოიცავს საფოსტო გზავნილების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას. საფოსტო მომსახურებად არ ჩაითვლება საფოსტო გზავნილების მხოლოდ ტრანსპორტირება;

ყ) საფოსტო ოპერატორი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ნებისმიერი სამეწარმეო პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საფოსტო მომსახურებას;

შ) საფოსტო ოფისი - წვდომის ადგილი, რომლის ოპერირება ხორციელდება საფოსტო ოპერატორის მიერ და სადაც მომხმარებელი იღებს საფოსტო მომსახურებას. საფოსტო ოფისი შესაძლოა იყოს სტაციონარული ან მოძრავი;

ჩ) საფოსტო საგადახდო ნიშანი - საფოსტო მარკა, მარკირებული კონვერტი, მარკირებული საფოსტო ბარათი, ფრანკირების და მარკირების დანადგარებით დატანილი ნიშანი ან სხვა აღნიშვნები, რომელიც ადასტურებს საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდას დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის;

ც) საფოსტო ფულადი გზავნილი - გზავნილი, რომელიც განისაზღვრება ამ კანონით მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად და რომლის მიღება, დახარისხება, გაგზავნა და ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება დანიშნული საფოსტო ოპერატორების მიერ და რომელიც ადრესატს ბარდება ნაღდი ფულით ან განთავსდება მის საბანკო ანგარიშზე;

ძ) საფოსტო ქსელი - საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყველა სახის სისტემა;

წ) საფოსტო ყუთი - ჩაკეტვის ფუნქციის მქონე სპეციალური ყუთი, რომელიც განკუთვნილია გამგზავნის მიერ მარტივი საფოსტო გზავნილის განსათავსებლად;

ჭ) უნივერსალური საფოსტო მომსახურება – დადგენილი ხარისხის საფოსტო მომსახურება, რომელიც დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ მუდმივად ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა მომხმარებლისთვის და ხელმისაწვდომ ფასად. უნივერსალური საფოსტო მომსახურება არ მოიცავს საკურიერო და ექსპრესს მომსახურებებს;

ბ) უწყებრივი რეესტრი - კომისიის მიერ საფოსტო ოპერატორის ზოგადი ავტორიზაციისთვის და მის შესახებ ინფორმაციის შესანახად განკუთვნილი რეესტრი;

ჟ) ჩაბარება - ჩაბარების ყუთში საფოსტო გზავნილის განთავსება ან ჩაბარების ადგილზე ადრესატისთვის გზავნილის გადაცემა. საჭიროების შემთხვევაში, დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის კომისია განსაზღვრავს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესაძლებლობას ასევე სხვა შესაბამისი ინსტალაციების საშუალებით.

ჰ<sup>1</sup>) ჩაბარება მოთხოვნამდე - საფოსტო მომსახურების სახეობა, როდესაც გზავნილი დამისამართებულია საფოსტო ოფისის მისამართზე და საფოსტო ოფისში ინახება საფოსტო ოპერატორის მიერ განსაზღვრული ვადით ადრესატის მოთხოვნამდე.

ჰ<sup>2</sup>) ჩაბარების ადგილი - ადგილი, სადაც ხორციელდება საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება;

ჰ<sup>3</sup>) ჩაბარების ყუთი - შენობა-ნაგებობებში, წვდომის ადგილებში არსებული, ჩაკეტვის ფუნქციის მქონე სპეციალური ყუთი, რომელშიც განთავსდება საფოსტო გზავნილი. ჩაბარების ყუთი შეიძლება იყოს მრავალმიმღებიანიც;

ჰ<sup>4</sup>) წერილობითი კორესპონდენცია - წერილობითი ფორმის საფოსტო გზავნილის სახეობა, შესრულებული ნებისმიერი ფორმის ფიზიკურ მატარებელზე, ასევე 2 კილოგრამი ან მასზე ნაკლები წონის საქონელი. წიგნები, კატალოგები და პერიოდული გამოცემები არ განეკუთვნება წერილობით კორესპონდენციას;

ჰ<sup>5</sup>) წვდომის ადგილი - საფოსტო ოპერატორის ფიზიკური ობიექტები, ასევე ნებისმიერ ადგილზე განთავსებული საფოსტო ყუთები, სადაც შესაძლებელია საფოსტო გზავნილის საფოსტო ქსელში მოთავსება;

ჰ<sup>6</sup>) საკონტრიბუციო შენატანი - ამ კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით საფოსტო ოპერატორების მიერ განსახორციელებელი შენატანი.

ჰ<sup>7</sup>) ზოგადი ავტორიზაცია - კომისიის მიერ სამეწარმეო პირის საქმიანობის რეგისტრაცია უწყებრივ რეესტრში, რომელიც არ მოითხოვს კომისიის მიერ სამართლებრივი აქტის მიღებას.

ჰ<sup>8</sup>) ერთეული საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის ტარიფი განსაზღვრულია საფოსტო ოპერატორის მიერ ცალკეული საფოსტო გზავნილის ზოგადი წესებითა და პირობებით.

ჰ<sup>9</sup>) საამანათო მომსახურება - საფოსტო მომსახურება, რომელიც მოიცავს ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას.

ჰ<sup>10</sup>) საამანათო მომსახურების მიმწოდებელი - საფოსტო ოპერატორი, რომელიც ახორციელებს ერთ ან მეტ საამანათო მომსახურებას.

3<sup>11</sup>) თვით-ჩაბარება - მომსახურება, როდესაც პირი ახორციელებს საკუთარი საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას, საკუთარივე კურიერის ან/და სატრანსპორტო საშუალებით, რაც არ წარმოადგენს საფოსტო მომსახურებას.

#### **მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ფოსტის სფეროში**

1. ფოსტის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება და გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებიდან და ხელშეკრულებებიდან.
2. სამინისტრო შეიმუშავებს ფოსტის სფეროში სტრატეგიებსა და პროგრამებს, რომელსაც სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
3. ფოსტის სფეროს სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს სამინისტრო.
4. კომისია ფოსტის სფეროში უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელმძღვანელობს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით, მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიებისა და პროგრამების, ამ კანონისა და ამ კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

#### **მუხლი 5. ფოსტის სფეროში კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა**

ფოსტის სფეროში კონკურენციის რეგულირებას ახორციელებს კომისია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

#### **მუხლი 6. საერთაშორისო თანამშრომლობა ფოსტის სფეროში**

1. საერთაშორისო თანამშრომლობა ფოსტის სფეროში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შესაბამისად.
2. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას საქართველოს წარმოადგენს სამინისტრო, აგრეთვე კომისია სამინისტროსთან შეთანხმებით.
3. ფოსტის სფეროში მოქმედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებებში საქართველოს წარმოადგენს კომისია.
4. დანიშნული საფოსტო ოპერატორი თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების დანიშნულ საფოსტო ოპერატორებთან, ასევე კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს მსოფლიო საფოსტო კავშირთან და სხვა დარგობრივ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

## **მუხლი 7. აკრძალვები და შეზღუდვები საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ**

1. დაუშვებელია იმ საფოსტო გზავნილის მიღება, გაგზავნა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად გადაადგილება, რომლის შიგთავსიც შეიცავს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ აკრძალულ საქონელს.
2. დაუშვებელია, შეზღუდული საფოსტო გზავნილის მიღება, გაგზავნა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად გადაადგილება, თუ ის არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. საერთაშორისო საფოსტო გზავნილებში ასევე იკრძალება ისეთი საგნების, ნივთიერებების ან პროდუქტების მოთავსება, რომლებიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.
4. აკრძალული/შეზღუდული შიგთავსის შემცველი საფოსტო გზავნილების ჩამორთმევა და განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში საფოსტო ოპერატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა საფოსტო გზავნილის ჩაუბარებლობისთვის ან ტრანზიტულად გაუტარებლობისთვის.
5. საფოსტო ოპერატორმა ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებლებს შესაბამისი ვებგვერდების, საფოსტო ოფისების და მომხმარებლებთან კომუნიკაციის სხვა საშუალებების მეშვეობით.
6. საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, საფოსტო ოპერატორი ან მისი თანამშრომელი არ აგებს პასუხს საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანისათვის, რაც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ არასწორი ინფორმაციის წარდგენით.
7. საფოსტო გზავნილით აკრძალული/შეზღუდული შიგთავსის გაგზავნისათვის, მიღებისთვის ან/და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად გადაადგილებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 8. საერთაშორისო და ტრანზიტულად გადაადგილებულ საფოსტო გზავნილებზე საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი**

საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე, მათ შორის ტრანზიტულად გადაადგილებულ საფოსტო გზავნილებზე საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 9. საფოსტო მომსახურების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვა**

1. საფოსტო ოპერატორი ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

## **მუხლი 10. ჩაბარების ყუთის ორგანიზება**

გარდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული პროექტი, ასევე უნდა მოიცავდეს ჰარმონიზებული სტანდარტის შესაბამისად დატანილ ჩაბარების ყუთებს.

## **თავი II. სამინისტროსა და კომისიის ფუნქციები**

### **მუხლი 11. სამინისტროს ფუნქციები:**

1. სამინისტროს ფუნქციები ფოსტის სფეროში:

ა) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, სტრატეგიებისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

გ) სამართლებრივი ბაზის შემუშავება და მისი იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

დ) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო ოპერატორებისთვის საფოსტო მომსახურების განხორციელებისთვის განსხვავებული რეჟიმის დაწესება;

ე) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო ქსელის ფუნქციონირების კოორდინაცია;

ვ) კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

ზ) ფოსტის სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

თ) სამართლებრივი აქტების გამოცემა;

ი) საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა ფოსტის სფეროში, საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან ურთიერთობებში;

კ) საფოსტო საგადახდო ნიშნების დიზაინის, მათ შორის საფოსტო მარკების ნომინალის და ტირაჟის დამტკიცება და საფოსტო მარკების მიმოქცევაში გაშვება და მიმოქცევიდან ამოღება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;



- ლ) ფოსტის სფეროში არსებული სტანდარტების ჰარმონიზების ხელშეწყობა;
- მ) საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების შესახებ დებულების შემუშავება და დამტკიცება;
- ნ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრების ჩამონათვალის დამტკიცება;
- ო) საფოსტო ინდექსების სისტემის დამტკიცება;
- პ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

## **მუხლი 12. კომისიის ფუნქციები**

1. კომისიის ფუნქციები ფოსტის სფეროში:

- ა) საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად უფლებამოსილებების დამოუკიდებლად განხორციელება;
- ბ) მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- გ) საფოსტო ოპერატორების ზოგადი ავტორიზაცია უწყებრივ რეესტრში და უწყებრივი რეესტრის წარმოება;
- დ) რეგულირების საფასურის ოდენობის, გადახდის წესისა და პერიოდულობის დადგენა ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) ამ კანონის შესაბამისად, საფოსტო სფეროში საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი, შემოწმება და გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების დაკისრება;
- ვ) შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემის დანერგვის, უნივერსალური მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების, ასევე უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება;
- ზ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ განსაზღვრული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გამოთვლის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის შემოწმება და დამტკიცება ;
- თ) ამ კანონით გათვალისწინებული ბაზრის კვლევის ჩატარება;
- ი) ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება;

კ) ფოსტის სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა და კონკურენციის რეგულირება;

ლ) უფლებამოსილების ფარგლებში საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავების განხილვა და გადაწყვეტა;

მ) საფოსტო ოპერატორის მიერ განხორციელებულ საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

ნ) საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების ფორმის შემუშავება და მიღება;

ო) საკონტრიბუციო შენატანის განსაზღვრისა და გამოყენების წესის დადგენა შესაბამისი ნორმატიული სამართლებრივი აქტით;

პ) კომისია, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენ ყოველწლიურ ანგარიშში ასახავს უნივერსალური საფოსტო მომსახურების და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ ინფორმაციას;

ჟ) ამ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრა და აღნიშნული ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა;

რ) ამ კანონის 29-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენა და იმ საფოსტო ოპერატორების განსაზღვრა, რომელთაც შესაძლოა მოეთხოვოს საკონტრიბუციო შენატანის გადახდა;

ს) დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და იმ საფოსტო ოპერატორს შორის, რომელიც ახორციელებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებში შემავალ საფოსტო მომსახურებას შორის დავის განხილვა და გადაწყვეტა;

ტ) საფოსტო ოპერატორის მიმართვის შემთხვევაში საფოსტო ოპერატორებს შორის დავის განხილვა;

უ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

2. კომისია, თავისი ფუნქციების განხორციელების მიზნით უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საფოსტო ოპერატორებისაგან, რომელიც უნდა იყოს ამ მიზნის პროპორციული.

3. კომისიამ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა საფოსტო ოპერატორების მიერ მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ საიდუმლოებად ან პერსონალურ მონაცემებად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

4. კომისია ფოსტის სფეროში გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ამ კანონის შესაბამისად მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. კომისია, ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობს გამჭირვალობის, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებით.

### **თავი III. საფოსტო ოპერატორების უფლებები და ვალდებულებები**

#### **მუხლი 13. საფოსტო ოპერატორების ზოგადი უფლებები და ვალდებულებები**

1. საფოსტო ოპერატორის უფლებები:

ა) განახორციელოს საფოსტო მომსახურება;

ბ) საფოსტო ოპერატორები, უფლებამოსილნი არიან ნებისმიერი ტარიფით განახორციელონ საფოსტო მომსახურება, მათ შორის, უნივერსალურ საფოსტო მომსახურების ფარგლებს მიკუთვნებული საფოსტო მომსახურება. ამასთანავე, მათზე არ ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული უნივერსალურ საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ) დავის გადაწყვეტის მექანიზმის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით საფოსტო ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს და მომხმარებელს შესთავაზოს მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება;

დ) კომისიის სამართლებრივი აქტი გაასაჩივროს სასამართლოში;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები;

2. საფოსტო ოპერატორის ვალდებულებებია:

ა) გაიაროს ზოგადი ავტორიზაცია კომისიის უწყებრივ რეესტრში;

ბ) მიაწოდოს კომისიას კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული, საფოსტო მომსახურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით და წესით;

გ) გადაიხადოს რეგულირების საფასური;

დ) გადაიხადოს საკონტრიბუციო შენატანი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) დაადგინოს და დაიცვას შესაბამისი სახელშეკრულებო წესები და პირობები მომხმარებლებთან, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) შეასრულოს ამ კანონით დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან;

ი) ითანამშრომლოს სამინისტროსთან საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის დროს;

- კ) დაიცვას საფოსტო გზავნილების შიგთავსის მიმართ ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნები;
- ლ) შეიმუშაოს და ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს საფოსტო წესები;
- მ) კომისიას წარუდგინოს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაცია;
- ნ) საფოსტო მომსახურების მიწოდებისას საფოსტო ოპერატორის თანამშრომლის უნიფორმაზე დატანილი უნდა იქნეს საფოსტო ოპერატორის მაიდენტიფიცირებელი ლოგო და/ან სხვა მაიდენტიფიცირებელი გამოსახულება, ასევე მათი საფოსტო გზავნილები უნდა იყოს იდენტიფიცირებადი;
- ო) შექმნას საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის და მათზე რეაგირების გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა მექანიზმი, კერძოდ, საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების, განადგურების და/ან მომსახურების ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევებისთვის;
- პ) გამოაქვეყნოს ინფორმაცია საჩივრების რაოდენობისა და მათი განხილვის წესის შესახებ.
- ჟ) კომისიას აცნობოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, საფოსტო მომსახურების სახეობის ცვლილების ან საფოსტო მომსახურების დროებით შეჩერების შესახებ;
- რ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწერგოს და აწარმოოს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემა.

ს) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. საამანათო მომსახურების მიმწოდებელი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, ასევე ვალდებულია კომისიას წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ყოველი კალენდარული წლის 30 ივნისამდე კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით:
- ა.ა) წინა კალენდარული წლის განმავლობაში საამანათო მომსახურების მიწოდების წლიური ბრუნვა, ადგილობრივი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შემომავალი და გამავალი ტრანსსასაზღვრო საამანათო მომსახურებების მიხედვით;
- ა.ბ) წინა კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის მონაცემები დასაქმებულ პირთა სამუშაო განაკვეთის მიხედვით, კერძოდ, სრულ განაკვეთზე და ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შესახებ;
- ა.გ) წინა კალენდარული წლის განმავლობაში ადგილობრივი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შემომავალი და გამავალი ტრანსსასაზღვრო ამანათების რაოდენობის შესახებ;
- ა.დ) მათი ქვეკონტრაქტორების დასახელება და ამ ქვეკონტრაქტორების მიერ საამანათო მომსახურების მიწოდების მახასიათებლების შესახებ სხვა ნებისმიერი ინფორმაცია; ქვეკონტრაქტორად მიიჩნევა პირი, რომელიც საამანათო მომსახურების მიმწოდებლისთვის უზრუნველყოფს ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას ან/და ჩაბარებას.
- ა.ე) ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომი სია საამანათო მომსახურების მიწოდების ტარიფების შესახებ ყოველი კალენდარული წლის 1 იანვარის მდგომარეობით.

ბ) საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ:

ბ.ა.) ევროკომისიას მიაწოდოს ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრისთვის მოქმედი ერთეული საფოსტო გზავნილების ტარიფების საჯარო სია, რომელიც ექცევა სამინისტროს

ბრძანებით დამტკიცებული კატეგორიებში, გარდა წერილობითი კორექსონდენციისა. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს ყოველი კალენდარული წლის 31 იანვრისთვის;

ბ.ბ.) ამ პუნქტის „ა“ - „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება არცერთ საამანათო მომსახურების მიმწოდებლებზე, რომელიც რეგისტრირებულია მხოლოდ საქართველოში და ახორციელებს საკუთარი საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას, საკუთარივე კურიერის ან/და სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საამანათო მომსახურების მიმწოდებლებზე სადაც წინა კალენდარული წლის განმავლობაში საშუალოდ 50-ზე ნაკლები დასაქმებული მუშაობდა და ჩართული იყო საამანათო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფაში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საამანათო მომსახურების მიმწოდებელი დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაშიც. კომისიამ შეიძლება საშუალოდ 50-ზე ნაკლები დასაქმებულის ზღვარში გაითვალისწინოს ასევე საამანათო მომსახურების მიმწოდებლის ქვეკონტრაქტორებში მომუშავე პირების რაოდენობა. კომისიას შეუძლია მოითხოვოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენა საამანათო მომსახურების ნებისმიერ მიმწოდებელს, რომელშიც წინა კალენდარულ წელს მუშაობდა საშუალოდ 25-დან 49 დასაქმებული, საჭიროებისა და პროპორციულობის გათვალისწინებით.

4. უნივერსალური საფოსტო მომსახურების მიწოდებისას დანიშნული საფოსტო ოპერატორის ვალდებულებებია:

ა) განახორციელოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება ამ კანონით დადგენილი წესით;

ბ) დაიცვას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები;

გ) გადაიხადოს რეგულირების საფასური;

დ) გადაიხადოს საკონტრიბუციო შენატანი ამ კანონით დადგენილი წესით;

ე) დანერგოს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემა. აწარმოოს დანახარჯების განაწილება უნივერსალური საფოსტო მომსახურების და სხვა საფოსტო მომსახურების სახეობების მიხედვით, თვითღირებულების გაანგარიშება და კომისიისათვის წარდგენა;

ვ) უზრუნველყოს მომსახურების ხარისხი;

ზ) უნივერსალური საფოსტო მომსახურება მიაწოდოს ხარჯეფექტური მექანიზმების გამოყენებით, ხარჯზე ორიენტირებული ტარიფებითა და ნაკლები დანახარჯებით;

თ) უზრუნველყოს საფოსტო ქსელის ორგანიზება და ოპერირება;

ი) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვება;

კ) შეიმუშაოს საფოსტო ინდექსების სისტემა;

ლ) უზრუნველყოს ვებგვერდზე და/ან მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის განკუთვნილ სხვა საჯარო საინფორმაციო საშუალებებით თავის შესახებ, საკუთარი საფოსტო მომსახურების და მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო პირობების შესახებ, აგრეთვე საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების შესახებ, უნივერსალურ საფოსტო მომსახურებაზე საჩივრების რაოდენობის და მათი გადაწყვეტის შესახებ მუდმივად განახლებადი ინფორმაციის განთავსება;

მ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის უზრუნველყოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომზადება და შედეგები გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

ნ) თავისი საქმიანობის წლიურ ანგარიშთან ერთად, გამოაქვეყნოს ინფორმაცია საჩივრების რაოდენობისა და მათი განხილვის წესის შესახებ.

5. დადგენილი ტარიფები არ ზღუდავს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს მომხმარებელთან სპეციალური ტარიფების შესახებ დადოს ინდივიდუალური ხელშეკრულება.

6. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ სპეციალური ტარიფების გამოყენების შემთხვევაში, მან უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა. ნებისმიერი ასეთი ტარიფი საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის.

#### **მუხლი 14. საფოსტო წესები**

1. საფოსტო ოპერატორი ვალდებულია შეიმუშაოს საფოსტო წესები, რომელიც ადგენს :

ა) საფოსტო გზავნილების მიღებასთან, დახარისხებასთან, ტრანსპორტირებასთან და ჩაბარებასთან დაკავშირებულ პირობებს;

ბ) იმ საფოსტო გზავნილების განკარგვის საკითხს, რომელთა ადრესატისთვის ჩაბარება შეუძლებელია, და/ან რომელთა გამგზავნთან დაბრუნება შეუძლებელია მისამართის უზუსტობის, შეფუთვის დეფექტის, არასათანადო მარკირების, გადაუხდელობის, ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო;

გ) საფოსტო გზავნილების გახსნისა და განადგურების პირობებს;

დ) საფოსტო გზავნილების შენახვისა და ტრანსპორტირებისას საფოსტო ქსელის მთლიანობისა და თანამშრომელთა შრომითი პირობების დაცვის საკითხებს;

ე) საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საფოსტო გზავნილებზე, რომელთა მიმართ შესაბამისი პროცედურები რეგულირდება საქართველოს საგადახადო და საბაჟო კანონმდებლობით.

## თავი IV. უნივერსალური საფოსტო მომსახურება

### მუხლი 15. უნივერსალური საფოსტო მომსახურება

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაზღვრული ხარისხით, მუდმივად, ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.
2. უნივერსალური საფოსტო მომსახურება მოიცავს:
  - ა) 2 კილოგრამამდე წონის ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი და გამავალი მარტივი, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილობითი კორესპონდენციის მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
  - ბ) 20 კილოგრამამდე წონის საერთაშორისო შემომავალი და გამავალი, მარტივი, რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
  - გ) 10 კილოგრამამდე წონის ადგილობრივი, მარტივი, რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
3. დანიშნული საფოსტო ოპერატორის დაზღვეული საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გაგზავნა ხორციელდება მხოლოდ ასეთი გზავნილის მომსახურების მქონე ქვეყნებთან;
4. უნივერსალური საფოსტო მომსახურება შესაძლოა მიწოდებულ იქნას ერთი ან ერთზე მეტი დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ მომსახურების სახეობის და/ან გეოგრაფიული დაყოფის გათვალისწინებით;
5. უნივერსალური საფოსტო მომსახურება მიწოდებულ უნდა იქნას ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე; ერთსა და იმავე პირობებში მყოფმა მომხმარებლებმა უნდა მიიღონ იდენტური უნივერსალური საფოსტო მომსახურება;
6. უნივერსალური საფოსტო მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისად;
7. სამინისტრო საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობისას უფლებამოსილია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს დაუწესოს განსხვავებული რეჟიმი უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულების განხორციელებისათვის.

### მუხლი 16. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფები

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ხარჯზე ორიენტირებულობა;
- ბ) ერთიანობა ადგილობრივი საფოსტო გზავნილებისათვის
- გ) არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა;
- დ) ხელმისაწვდომობა;

2. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და პროცედურებს, რომელიც მოიცავს დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების კომისიაში წარდგენის პროცედურებსა და მისი დამტკიცების ვადებს.

3. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფებს დანიშნული საფოსტო ოპერატორი განსაზღვრავს მეთოდოლოგიის შესაბამისად და დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას, რომელიც მტკიცდება კომისიის გადაწყვეტილებით.

4. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს შეუძლია მოითხოვოს ტარიფების გადახედვა სათანადოდ დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს კომისიას. კომისია ამოწმებს წარმოდგენილი ტარიფების შესაბამისობას მეთოდოლოგიასთან და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განცხადებით მოთხოვნილი ტარიფის შესახებ.

5. კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებით დამტკიცებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გადახედვა დანიშნული ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე დაუშვებელია ტარიფების დამტკიცებიდან 3 წლის განმავლობაში.

6. გონივრული ვარაუდის საფუძველზე, რომ უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის დამტკიცებული ტარიფები შესაბამისობაში არ არის მეთოდოლოგიასთან, კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადახედოს ტარიფებს, რაზედაც მან უნდა შეატყობინოს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს. კომისია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ტარიფების შესაბამისობაში მოსაყვანად და კომისიისთვის დასამტკიცებლად წარსადგენად. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, კომისია დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და სხვა ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით, მეთოდოლოგიის საფუძველზე თავად ადგენს და ამტკიცებს შესაბამის ტარიფს.

7. დანიშნული საფოსტო ოპერატორი კომისიას უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების ჯეროვნად გადახედვის მიზნით წარუდგენს ფინანსურ ანგარიშგებას ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც აუცილებელია უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გადასახედად.

8. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის დამტკიცების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში. კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს კომისიის გადაწყვეტილებას.



## თავი V. დანიშნული საფოსტო ოპერატორი

### მუხლი 17. დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვა

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით კომისია ატარებს ბაზრის კვლევას.
2. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ბაზრის კვლევის შედეგად დაადგენს, რომ ერთზე მეტ საფოსტო ოპერატორს შეუძლია უზრუნველყოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება, დანიშნულ საფოსტო ოპერატორს კომისია ნიშნავს ღია კონკურსის წესით 15 წლის ვადით;
3. იმ შემთხვევაში თუ, ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოცემულობა არ არსებობს, არსებულ დანიშნულ საფოსტო ოპერატორს კომისია ხელახლა ნიშნავს მომდევნო 15 წლის ვადით;
4. ამ მუხლით გათვალისწინებული ღია კონკურსის წესით დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნამდე, უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას უზრუნველყოფს არსებული დანიშნული საფოსტო ოპერატორი. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების უწყვეტობა.
5. ღია კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები განისაზღვრება დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშვნისათვის ღია კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტით.
6. დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვა უნდა მოხდეს ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე ღია კონკურსის საფუძველზე. პრეტენდენტის შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება კომისიის მიერ, დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშვნისათვის ღია კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტით, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე:
  - ა) პრეტენდენტის მიერ საქართველოს მთელი ტერიტორიის ან შესაბამისი გეოგრაფიული ერთეულ(ებ)ის დაფარვას და/ან მომსახურების სახეობას;
  - ბ) პრეტენდენტის ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს;
  - გ) პრეტენდენტის შესაძლებლობას უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის უზრუნველყოს ხელმისაწვდომი და ერთიანი, ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
7. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს პრეტენდენტის შესაძლებლობას უნივერსალური საფოსტო მომსახურება მიწოდებულ იქნეს ხარჯეფექტური მექანიზმების გამოყენებით, ხარჯზე ორიენტირებული ტარიფებითა და ნაკლები დანახარჯებით;

8. ღია კონკურსის შედეგად, კომისია შეარჩევს გამარჯვებულ საფოსტო ოპერატორს და დანიშნავს მას დანიშნულ საფოსტო ოპერატორად ღია კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
9. თუ წარმოდგენილი არ არის განაცხადი კონკურსში მონაწილეობისთვის, ან თუ პრეტენდენტ(ებ)ი ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს, კომისია ხელმეორედ აცხადებს ღია კონკურსს პირველი კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
10. თუ ხელმეორედ გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილი არ არის განაცხადი, ან თუ პრეტენდენტ(ებ)ი ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს, კომისია დანიშნულ საფოსტო ოპერატორად ნიშნავს არსებულ დანიშნულ საფოსტო ოპერატორს 15 წლის ვადით.
11. საფოსტო ოპერატორის დანიშვნამდე, მოქმედი დანიშნული საფოსტო ოპერატორი ასრულებს მისთვის მინიჭებულ უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულებას.
12. დანიშნული საფოსტო ოპერატორის სახელწოდება სამინისტრომ უნდა აცნობოს მსოფლიო საფოსტო კავშირს.
13. დანიშნული საფოსტო ოპერატორ(ებ)ი უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას განახორციელებენ მხოლოდ, მათთვის კომისიის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი გეოგრაფიული ერთეულ(ებ)ის და/ან მომსახურების სახეობის მიხედვით.

## **მუხლი 18. მომსახურების ხარისხი**

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების შემდეგი ხარისხი:
  - ა) უნივერსალური საფოსტო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაწეული უნდა იქნას კვირაში არანაკლებ 5 სამუშაო დღის სიხშირით, რომელიც მოიცავს სულ მცირე 1 მიღებასა და 1 ჩაბარებას, გარდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული მაღალმთიანი რეგიონებისა, სადაც დასაშვებია კვირაში არანაკლებ ორდღიანი სიხშირე;
  - ბ) მონიტორინგისა და შემოწმების და მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით კომისია უფლებამოსილია დააწესოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისგან განსხვავებული პირობები;
  - გ) ადგილობრივი საფოსტო გზავნილები, რომლებიც წვდომის ადგილებში მიღებულია სამუშაო დღის დასრულებამდე, წლის განმავლობაში არანაკლებ 85% გზავნილებისა ჩაბარებული უნდა იქნას მიღების მომდევნო დღიდან 3 სამუშაო დღეში, გზავნილების 97% - 5 სამუშაო დღეში;

დ) ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემომავალი საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრში მიღებული შემომავალი საფოსტო გზავნილების ჩაბარების ვადის მიმართ მოქმედებს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ინფორმაცია სამუშაო საათებისა და სამუშაო დღეების შესახებ საჯაროდ უნდა განთავსდეს საფოსტო ოფისებსა და ვებგვერდზე.

3. საფოსტო ყუთებზე განთავსებული უნდა იყოს დღის განმავლობაში საფოსტო გზავნილების საბოლოო შეგროვების დრო.

4. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს ამ მუხლით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფა მოეთხოვება მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

### **მუხლი 19. საფოსტო ქსელის ორგანიზება და ოპერირება**

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფისთვის ქმნის საფოსტო ოფისების, გზავნილების დახარისხებისა და საფოსტო მომსახურებების მარშრუტის შესაბამის ქსელს, ამ კანონის მოთხოვნებისა და მომხმარებლების საჭიროებების გათვალისწინებით.

2. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ქმნის საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრ(ებ)ს, რომელთა ჩამონათვალს დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

3. სამინისტრო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს, რომელსაც აწვდის მსოფლიო საფოსტო კავშირს.

### **მუხლი 20. საფოსტო ქსელის ელემენტებთან ან/და უნივერსალური მომსახურების მიწოდების მიზნით გაწეულ მომსახურებებზე დაშვება**

1. მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და ბაზარზე ეფექტური კონკურენციის შენარჩუნების მიზნით, დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია, საფოსტო ქსელის ინფრასტრუქტურის შესაბამის ელემენტებსა ან/და უნივერსალური მომსახურების მიწოდების მიზნით გაწეულ მომსახურებებზე დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში, აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა საფოსტო ოპერატორთან, რომელიც ახორციელებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებს მიკუთვნებულ ან ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაშვება გულისხმობს დაშვებას საფოსტო ინდექსებზე, სამისამართო რეესტრზე, საფოსტო ყუთებზე, ჩაბარების ყუთებზე, მისამართის ცვლილების შესახებ ინფორმაციაზე, გადამისამართების მომსახურებასა და გამგზავნისათვის საფოსტო გზავნილის დაბრუნების მომსახურებებზე.

3. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია საკუთარი ქსელის ელემენტებთან ან/და უნივერსალური მომსახურების მიწოდების მიზნით გაწეულ მომსახურებებზე სხვა საფოსტო ოპერატორის დაშვება უზრუნველყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებითა და ფასით.

4. საფოსტო ოპერატორი ვალდებულია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს გადაუხადოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან/და უნივერსალური მომსახურების მიწოდების მიზნით გაწეულ მომსახურებებზე დაშვების საფასური.

5. საფოსტო ოპერატორის ქსელის ელემენტებთან და უნივერსალური მომსახურების მიწოდების მიზნით გაწეულ მომსახურებებზე დაშვების წესებსა და პირობებს ადგენს კომისია.

6. დანიშნულ ოპერატორს უფლება აქვს დაშვებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული საფრთხეს შეუქმნის დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ უნივერსალური მომსახურების განხორციელებას ან/და უნივერსალური საფოსტო გზავნილების კონფიდენციალობასა და პერსონალური მონაცემების დაცვას, სათანადო დასაბუთებით.

7. დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის, დაშვების ფასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ, დავის გადაწყვეტის მოთხოვნით მიმართონ კომისიას.

8. დაშვების ფასის დადგენისას კომისია ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალეობის, ხარჯზე ორიენტირებულობისა და გონივრულობის პრინციპების გათვალისწინებით. გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ გაწეული ხარჯები, შესაძლო გავლენა ბიზნესზე და განხორციელებული ინვესტიციის გონივრული უკუგება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

9. დავის შემთხვევაში, ფასის დადგენისას კომისია ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

## **მუხლი 21. საფოსტო ფულადი გზავნილი**

დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, გაგზავნა და ჩაბარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

## **მუხლი 22. საფოსტო ინდექსები**

1. საფოსტო ინდექსების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს დასახლებული პუნქტების გეოგრაფიულ მდებარეობას.

2. საფოსტო ინდექსების სისტემას შეიმუშავებს დანიშნული საფოსტო ოპერატორი და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.
3. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საფოსტო ინდექსების სისტემის საფოსტო ოპერაციების მიზნით გამოყენება.
4. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა საფოსტო ინდექსები უნდა გამოაქვეყნოს საფოსტო ოფისებში და თავის ვებგვერდზე.
5. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა საფოსტო ინდექსების ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა განათავსოს საფოსტო ოფისებში და თავის ვებგვერდზე აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

### **მუხლი 23. შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემა**

1. კომისია შეიმუშავებს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის მეთოდოლოგიას.
2. დანიშნული საფოსტო ოპერატორი, ობიექტურად დასაბუთებული აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე, კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო მომსახურების, სხვა საფოსტო და არასაფოსტო მომსახურებების შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემის დანერგვას მის შიდა საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში, რომლის საშუალებითაც აღრიცხება უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება, ამ საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვის სისტემა, დანახარჯებს ანაწილებს შემდეგნაირად:
  - ა) პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც შეიძლება პირდაპირ მიეკუთვნებოდეს კონკრეტულ მომსახურებას ან პროდუქტს;
  - ბ) არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც არ შეიძლება პირდაპირ მიეკუთვნებოდეს კონკრეტულ მომსახურებას ან პროდუქტს უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:
    - ბ.ა.) არაპირდაპირი დანახარჯები უნდა განაწილდეს თავად დანახარჯის წარმოშობის პირდაპირი ანალიზის საფუძველზე;
    - ბ.ბ) როდესაც პირდაპირი ანალიზი შეუძლებელია, არაპირდაპირი დანახარჯების კატეგორიები უნდა განაწილდეს დანახარჯების სხვა კატეგორიებთან ან დანახარჯთა კატეგორიების ჯგუფთან არაპირდაპირი კავშირის საფუძველზე, რომლებისთვისაც დანახარჯის პირდაპირი მინიჭება ან განაწილება შესაძლებელია; არაპირდაპირი კავშირი უნდა ეფუძნებოდეს დანახარჯების შესადარებელ სტრუქტურებს;

ბ.გ.) როცა დანახარჯების განაწილების პირდაპირი და არაპირდაპირი ანალიზი არ არის შესაძლებელი, დანახარჯების კატეგორია უნდა განაწილდეს ზოგადი განაწილების საფუძველზე, რომელიც გამოითვლება ყველა პირდაპირი ან/და არაპირდაპირი დანახარჯის პროპორციულად, ერთის მხრივ, უნივერსალურ საფოსტო მომსახურების თითოეულ სახეობაზე, მეორეს მხრივ, სხვა მომსახურებებზე;

ბ.დ.) არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია როგორც უნივერსალური საფოსტო მომსახურების განსახორციელებლად, ასევე სხვა მომსახურებების უზრუნველსაყოფად, სათანადოდ უნდა იყოს განაწილებული; იგივე დანახარჯების წარმოქმნის ფაქტორები უნდა იყოს გამოყენებული როგორც უნივერსალური საფოსტო მომსახურების, ისე სხვა მომსახურებების უზრუნველსაყოფად.

4. დანახარჯების აღრიცხვის სხვა სისტემები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავსებადია ამ მუხლის მე-2 პუნქტთან და დადგენილია კომისიის მიერ.

5. კომისიის მიერ მოწმდება დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ დაწერილი შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სისტემის შესაბამისობა მეთოდოლოგიასთან;

6. დანიშნული საფოსტო ოპერატორი კომისიის მიერ დადგენილ ვადებში კომისიას წარუდგენს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშგებას, რომელსაც თან უნდა ახლდეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნა, რომ წარმოდგენილი ანგარ იშვება შეესაბამება განცალკევებული აღრიცხვის პრინციპებს, ეროვნულ კანონმდებლობასა და სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებს. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემულ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილი ანგარიშის განცალკევებული აღრიცხვის პრინციპებთან, ეროვნულ კანონმდებლობასა და სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ დანიშნული საფოსტო ოპერატორი აქვეყნებს თავის ვებ გვერდზე.

7. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ წარსადგენი განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგების აუდიტს ატარებს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომლის გასამრჯელოსაც ანაზღაურებს დანიშნული ოპერატორი.

8. ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება ასევე ვრცელდება საფოსტო ოპერატორ(ებ)ზე, რომელიც ახორციელებს ურთიერთჩანაცვლებად ან უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებს მიკუთვნებულ მომსახურებას.

#### **მუხლი 24. საფოსტო გზავნილის დამისამართებისას გამოსაყენებელი ენები**

ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე მისამართი დატანილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში, აგრეთვე აფხაზურ ენაზეც.

#### **მუხლი 25. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ზიანის ანაზღაურება**

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანი, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაზღვეული საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში - დაზღვევით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში - დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ დადგენილი ფასით;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, დანიშნული საფოსტო ოპერატორი თავისუფლდება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისგან

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში დანიშნულ საფოსტო ოპერატორს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების და განადგურებისთვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იყო საომარი და/ან საგანგებო მდგომარეობით, საბაჟო პროცედურებით და/ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გზავნილის დაკავებით, განადგურებით ან მისი კონფისკაციით და/ან დაუძლეველი ძალით და/ან საფოსტო გზავნილის აკრძალული/შეზღუდული შიგთავსის მახასიათებლებით და/ან მომხმარებლის მიერ საფოსტო გზავნილის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მიუმართაობის შემთხვევაში.

## **თავი VI. ზოგადი ავტორიზაცია და რეგულირების საფასური**

### **მუხლი 26. საფოსტო ოპერატორების ზოგადი ავტორიზაცია**

1. ზოგადი ავტორიზაციის მიზნით, სამეწარმეო პირი ვალდებულია საფოსტო სფეროში საქმიანობის შესახებ შეატყობინოს კომისიას.

2. კომისია აწარმოებს უწყებრივ რეესტრს, რომელშიც აისახება საფოსტო ოპერატორების შესახებ ინფორმაცია;

3. კომისია უზრუნველყოფს საფოსტო ოპერატორების უწყებრივი რეესტრის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, ამ მიზნით იგი ვალდებულია საფოსტო ოპერატორების უწყებრივი რეესტრი განათავსოს თავის ვებ-გვერდზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მისი განახლება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ავტორიზაციის წესები და პირობები დგინდება კომისიის მიერ.

### **მუხლი 27. რეგულირების საფასური**

1. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი წყარო, რომელიც დაკავშირებულია ამ კანონით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს.
2. რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან საფოსტო ოპერატორები.
3. რეგულირების საფასურის ოდენობას „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე მისი გადახდის წესს და პერიოდულობას ადგენს კომისია შესაბამისი ნორმატიული სამართლებრივი აქტით.
4. საფოსტო ოპერატორი ვალდებულია კომისიის ნორმატიული აქტით დამტკიცებული ფორმით და პერიოდულობით წარუდგინოს კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოს რეგულირების საფასური.

### **მუხლი 28. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულების გამოთვლის წესი**

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება არის იმ დანახარჯთა ერთობლიობა, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია და მათი გაწევა აუცილებელია დაკისრებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულების შესასრულებლად. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება ასახავს დანიშნული საფოსტო ოპერატორის უნივერსალური მომსახურების ვალდებულებით და უნივერსალური მომსახურების ვალდებულების გარეშე თვითღირებულებას შორის სხვაობას.
2. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგების გონივრული უკუგება და ხარჯის ეფექტურობის მაჩვენებლები.
3. უნივერსალური მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგია მტკიცდება კომისიის მიერ.

### **მუხლი 29. უნივერსალური საფოსტო მომსახურების დაფინანსება**

1. დანიშნულ საფოსტო ოპერატორის მიერ განხორციელებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულება, თუ წარმოადგენს თვითღირებულებას და არის არასამართლიანი ფინანსური ტვირთი, დაფინანსდება:
  - ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. ასეთი ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს კომისია.
  - ბ) ამ მუხლის მე-2-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული საკონტრიბუციო შენატანის მეშვეობით.



2. თუ სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებით გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ გაწეული არასამართლიანი ფინანსური ტვირთის დასაფარად, დარჩენილი სხვაობა დაფინანსდება საკონტრიბუციო შენატანებიდან.

3. საკონტრიბუციო შენატანების გადახდა ევალუბათ დანიშნულ საფოსტო ოპერატორს, ასევე საფოსტო ოპერატორებს, რომლებიც ახორციელებენ უნივერსალურ საფოსტო მომსახურების ფარგლებს მიკუთვნებულ საფოსტო მომსახურებას და საფოსტო ოპერატორებს, რომლებიც ახორციელებენ ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებებს.

4. ამ კანონის მიზნებისთვის ურთიერთჩანაცვლებადია მომსახურება, თუ კომისია დაადგენს, რომ მომხმარებლის თვალსაზრისით საფოსტო მომსახურება, რომელიც გასწია საფოსტო ოპერატორმა ურთიერთჩანაცვლებადია უნივერსალური საფოსტო მომსახურებისა, ამ მომსახურების მახასიათებლების, მათ შორის დამატებითი ღირებულების მახასიათებლის, მიზნობრიობის ან/და ტარიფის გათვალისწინებით. აღნიშნული მომსახურება არ არის სავალდებულო შეიცავდეს უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის ამ კანონით დადგენილ ყველა მახასიათებელს, როგორც არის მომსახურების ხარისხისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის დაფარვა.

5. საკონტრიბუციო შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საანგარიშო წლის პერიოდში საფოსტო ოპერატორის მიერ განხორციელებული უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას მიკუთვნებული ან ურთიერთჩანაცვლებადი საფოსტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.5 პროცენტს.

6. კომისია საფოსტო ოპერატორების ზოგადი ავტორიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის შედეგების შესაბამისად, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის და პროპორციულობის პრინციპების დაცვით, განსაზღვრავს ამ მუხლით გათვალისწინებული საკონტრიბუციო შენატანების ოდენობას თითოეული საფოსტო ოპერატორისთვის და წერილობით აცნობებს მათ ამის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკონტრიბუციო შენატანის ოდენობის დადგენის მიზნით, კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს საფოსტო ოპერატორს საფოსტო მომსახურებების განხორციელებასთან დაკავშირებული, მათ შორის, ფინანსური დოკუმენტაცია დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებული აღრიცხვის ჩათვლით. კომისია ვალდებულია დაიცვას ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. საკონტრიბუციო შენატანის თანხა ჩაირიცხება კომისიის მიერ საამისოდ შექმნილ სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.

9. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს კომისიას შესაბამისი ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნით. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს 23-ე მუხლის მიხედვით დათვლილ წმინდა ხარჯის ოდენობას და დასაბუთებას. დანიშნულმა საფოსტო

ოპერატორმა, ასევე, უნდა წარადგინოს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშგება.

10. კომისია გონივრულ ვადაში შეისწავლის და წყვეტს უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი წმინდა დანახარჯის არასამართლიან ფინანსურ ტვირთად მიჩნევის საკითხს და ადგენს დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ასანაზღაურებელი ხარჯის ოდენობას;

11. საკონტრიბუციო შენატანის განსაზღვრისა და გამოყენების წესი დგინდება კომისიის შესაბამისი ნორმატიული სამართლებრივი აქტით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანიშნული საფოსტო ოპერატორისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურების წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

## **თავი VII. მონიტორინგი, შემოწმება და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა**

### **მუხლი 30. მონიტორინგი და შემოწმება**

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ, უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელებისას, ამ კანონის მე-18 - 23-ე მუხლების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს და შემოწმებას, კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად და შედეგს თავის ვებ გვერდზე კომისია აქვეყნებს ყოველწლიურად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელების დროს, კომისიას არ აქვს უფლება შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამ კანონით და კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებასთან.

3. კომისია იღებს შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას, რაშიც მითითებული უნდა იყოს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. შემოწმების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. თუკი შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დარღვეულია ამ კანონის და კომისიის დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნები და ვალდებულებები, შემოწმების ანგარიშის საფუძველზე კომისია მიიღებს შესაბამის ზომებს დამრღვევისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

5. სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ, კომისია ახორციელებს დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურების შესრულების შეფასებას, რომელსაც აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე. იმ შემთხვევაში, თუ კომისია მიიჩნევს, რომ დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვერ ახორციელებს ან ჯეროვნად ვერ ახორციელებს ამ კანონით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, კომისია უფლებამოსილია არსებულ

დანიშნულ საფოსტო ოპერატორს გაუუქმოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელების ვალდებულება და ამ კანონით განსაზღვრული წესით დანიშნოს სხვა საფოსტო ოპერატორი.

### **მუხლი 31. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისა და გადახდის წესი**

1. საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს საფოსტო ოპერატორის წერილობით გაფრთხილებას, ხოლო მისი გაფრთხილებიდან დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებას საფოსტო ოპერატორის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0.5 პროცენტის, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარის ოდენობით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს საფოსტო ოპერატორის დაჯარიმებას საფოსტო ოპერატორის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) ერთი პროცენტის, მაგრამ არანაკლებ 9000 და არაუმეტეს 90000 ლარის ოდენობით.
3. კონკურენციის წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
4. ამ მუხლით დაკისრებული ჯარიმა სამართალდამრღვევმა საფოსტო ოპერატორმა უნდა გადაიხადოს აღნიშნული სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
5. საჯარიმო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრება საფოსტო ოპერატორს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორების ვალდებულებისგან. დარღვევის 1 თვის ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საფოსტო ოპერატორი დაჯარიმდება ჯარიმის თანხის სამმაგი ოდენობით.
7. ამ მუხლით დადგენილი ჯარიმის დაკისრებიდან 1 თვის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჯარიმა დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად.

8. სამართალდარღვევის დაკისრების შესახებ კომისია იღებს დადგენილებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.
9. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

## **თავი VIII. მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა და დავების განხილვის წესი**

### **მუხლი 32. მომხმარებელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა**

ფოსტის სფეროში მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს კომისიასთან მოქმედი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებელი, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ფოსტის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს კომისია ნორმატიული აქტით.

### **მუხლი 33. დავების განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი დებულებანი**

1. მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს კომისიას დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.
2. საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავას განიხილავს და წყვეტს კომისია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და იმ საფოსტო ოპერატორს შორის, რომელიც ახორციელებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებში შემავალ საფოსტო მომსახურებას, წარმოშობილ დავას განიხილავს კომისია საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
4. საფოსტო ოპერატორს უფლება აქვს სხვა საფოსტო ოპერატორთან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის მიზნით მიმართოს კომისიას, რომელიც დავას განიხილავს და წყვეტს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული დავების განხილვისა და გადაწყვეტის დროს კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

## თავი IX. საფოსტო ქსელის მართვა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს

### მუხლი 34. საფოსტო ქსელის მართვა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს

1. საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობისას, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, სამინისტრო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე კოორდინაცია გაუწიოს საქართველოში რეგისტრირებული საფოსტო ოპერატორებს.
2. საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, სარგებლობენ ყველა სახის საფოსტო მომსახურების პრიორიტეტული გამოყენების უფლებით.
3. სამინისტრო უფლებამოსილია საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო ოპერატორებისთვის დააწესოს საფოსტო მომსახურების განხორციელებისთვის განსხვავებული რეჟიმი.

## თავი X. საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნები

### მუხლი 35. საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნები

1. საქართველოს საფოსტო მარკა წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის გამოხატულებას და მხოლოდ დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ გაწეული საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებას.
2. საქართველოს საფოსტო მარკა ასევე გამოიყენება ფილატელისტური (საკოლექციო) მიზნებისთვის.
3. საქართველოს საფოსტო მარკაზე სულ მცირე დატანილია შემდეგი წარწერები: ქვეყნის დასახელება ქართული ასოებით, გამოცემის წელი და ნომინალური ღირებულება ლარში.
4. საქართველოს საფოსტო მარკა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციითა და აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. საქართველოს საფოსტო მარკის მიმოქცევაში გაშვება, მიმოქცევიდან ამოღება და საკოლექციო კატეგორიაში გადატანა რეგულირდება სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
6. სამინისტრო შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს საფოსტო მარკის გამოცემის თემატურ გეგმას, რომლის მიხედვითაც, დანიშნული საფოსტო ოპერატორი შეიმუშავებს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს საფოსტო მარკის დიზაინს, რის შემდგომ უზრუნველყოფს დამტკიცებული საქართველოს საფოსტო მარკის დაბეჭდვას, საფოსტო მომსახურების მიზნებისთვის გამოყენებას და რეალიზაციას.

7. საქართველოს საფოსტო მარკა ტიპოგრაფიული სახით შესაძლოა დატანილი იქნეს კონვერტზე და საფოსტო ბარათზე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მიიჩნევა მარკირებულ კონვერტად და მარკირებულ საფოსტო ბარათად.
8. დაუშვებელია სხვა ქვეყნის მიერ გამოცემული და/ან მიმოქცევიდან ამოღებული საფოსტო მარკის გამოყენება საფოსტო გზავნილის გაგზავნის მიზნით.
9. ყალბი საფოსტო საგადახდო ნიშნების დამზადება და/ან გაყიდვა ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10. საფოსტო ოპერატორი უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოიყენოს მისთვის მისაღები საფოსტო საგადახდო ნიშანი, გარდა სამინისტროს მიერ დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის დამტკიცებული საფოსტო საგადახდო ნიშნისა.

## **თავი XI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 36. გარდამავალი დებულებები**

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საფოსტო ოპერატორი ვალდებულია ზოგადი ავტორიზაცია გაიაროს კომისიაში.
2. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში, დანიშნულ საფოსტო ოპერატორად 15 წლის ვადით ინიშნება შპს „საქართველოს ფოსტა“.
3. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ სამინისტროს წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება;
4. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში, საქართველოს მთავრობა ადგენს ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურების წესს.
5. საქართველოს მთავრობამ სამინისტროს წარდგინების საფუძველზე ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებისა და „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების ამ კანონის მე-10 მუხლთან შესაბამისობაში მოყვანა.
6. სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცება.

7. სამინისტრო ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში ამტკიცებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო საამანათო მომსახურებების ჩამონათვალს ტარიფების გამჭვირვალობისა და შეფასებისთვის.

8. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ:

ა) უზრუნველყოს დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნისათვის ღია კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების მიღება.

ბ) შეიმუშაოს და მიიღოს შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის მეთოდოლოგია, უნივერსალური მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგია, უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ევროპის პარლამენტის და საბჭოს შესაბამის დირექტივებში გათვალისწინებული უნივერსალური საფოსტო მომსახურებების ხარჯების განაწილების წესების შესაბამისად;

გ) შეიმუშაოს და მიიღოს საფოსტო ოპერატორების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული საფოსტო მომსახურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების ფორმა.

დ) დაადგინოს რეგულირების საფასურის ოდენობა, მისი გადახდის წესი და პერიოდულობა.

ე) დაამტკიცოს საკონტრიბუციო შენატანის განსაზღვრისა და გამოყენების წესი;

ვ) უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

9. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში კომისიამ მიიღოს უწყებრივი რეესტრის წარმოებისა და ზოგადი ავტორიზაციის წესი;

10. სამინისტრომ, დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს საფოსტო ინდექსების სისტემა.

### **მუხლი 37. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-7, მე-13-33-ე მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-7, მე-13-33-ე მუხლები ამოქმედდეს ამ კანონის გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**  
**ზურაბიშვილი**

**სალომე**

## საქართველოს კანონი

### „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**მუხლი 1.** „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)) 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.016710) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ეკონომიკის რეგულირებადი სფერო – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სფერო, მუნიციპალური მომსახურების სფერო, რომელშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია შეზღუდულია და რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ განისაზღვრება და სატარიფო რეგულირებას ექვემდებარება;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



**საქართველოს კანონი**  
**“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში**  
**ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 18.01.2005, საიდენტიფიკაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) კომისიის რეგულირების სფერო – ელექტრონული კომუნიკაციების, ფოსტის, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროები, რომლებშიც მომსახურების გაწევა ან საქმიანობა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის თანახმად ექვემდებარება ლიცენზირებას, ზოგად ავტორიზაციას ან/და ავტორიზაციას და რომლებშიც კომისია საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სპეციალურ უფლებამოსილებებს ახორციელებს;

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

**საქართველოს კანონი**  
**„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების**  
**შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჰ<sup>16</sup>) რეგულირების საფასური – ამ კანონის, „მაუწყებლობის შესახებ“ და „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე დადგენილი საფასური;“.

**2. მე-12 მუხლის:**

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ამ კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“, „ფოსტის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების ყოველწლიური საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ავტორიზებული პირები, ხოლო მაუწყებლობის და ფოსტის სფეროში – „მაუწყებლობის შესახებ“ და „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირები.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**  
**ზურაბიშვილი**

**სალომე**

**საქართველოს კანონი**  
**“საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“**  
**ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N41(48) , 13/08/1999) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და **დაემატოს შემდეგი შინაარსის 200<sup>6</sup>-ე მუხლი:**

**“მუხლი 200<sup>6</sup>. ყალბი საფოსტო მარკების დამზადება, შექენა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება**

1. ყალბი საფოსტო მარკების დამზადება, შექენა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;

გ) დიდი ოდენობით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

**შენიშვნა:**

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დიდ ოდენობად ჩაითვლება ყალბი საფოსტო მარკა, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება 5 000 ლარს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

**საქართველოს კანონი  
„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების  
შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 30.10.2008, სარეგისტრაციო კოდი: 010.080.000.05.001.003.300) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთი საქმიანობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საზღვაო კოდექსის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას, ავტორიზაციის, ზოგადი ავტორიზაციის ან რეგისტრაციის გავლას, ან თუ ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს შეთანხმებას, ასეთის არარსებობის შემთხვევაში;“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**